



წლიწალი მ-ს.

№ 17

სამბახი 1907 წ.



ტვილისი

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

1907

შინაარსი

I—* * .—ღექსი დ. თომაშვილისა	3
II—ბაბო და ფეფიკო.—მოთხრობა ნინო ნაკაშიძისა	5
III—იასამანი.—(თარგმანი) შ. დუმურაძისა	15
IV—გულწრფელი საჩუქარი.—გ. ფავაზიანისა (სომხურით) ე. კ.—სა.	18
V—ხარბი მეფე.—ზღაპარი გერ. საყისა	21
VI—ა) ამოცანები,—ბ) რებუსი	24



*
* *

ზნომ ბუდე ჩამოძალა,
დაუნგურია ბარტყებს ბინა
და ნადავლით შინისაკენ
სისხარულით გაიბინა.

„ჭელიძე! ჭელიძე!“ — ტლიპანები
საცოდავად იბახოდნენ,
საბრძლონი უცხო ხელში
კუთავდნენ და ცაცხახებდნენ.

მაძა, შვილებ დაკარგული,
აწუდებოდა ტყესა და ველს,
გულ-ჩაწუვევით თავის მწარ სვედრს
შესწიოდა უველა კამკელს.

დედა მათი, თმა გაშლილი,
ნანგრევ ბუდეს მიანლოვდა,
ისოკავდა ჰარი-სახეს,
მოსთქვამდა და მწარედ გლოვდა.

მათის ცოდვით არე-მარე
 იწვოდა და იღბოდა;
 მსოფლოდ ვანო არას გრძნობდა,
 სტოდა, ჭქროდა, მიმორბოდა!..

დ. თომაშვილი.





ბაბო და ფეფიკო

ბა, ბაბო, დედა მიდის, — უთხრა ღიმილით წა-
სასვლელად მორთულმა დედამ თავის ცქრიბა-
ლა, შავ-თვალა, ჰაწია კოკონას.

ღაინასა თუ არა ბაბომ თავის ოთახში შემოსული დედა,
შურდულივით გაქანდა, ჩამოეკიდა კისერზე და დაუწყო კოც-
ნა, თანაც სსაჰა-სსუპით ეუბნებოდა:

— დედილო, ჩემო დედილო, სად მიდისარ, ჩქარა მოხვალ?..
სადილს შეძევ შეც წავალ სასეირნოდ, თამარსაც თან წავი-
ვებ.

— თამარს?.. ეს თამარი ვიღა არის?..

— განა არ იცი, ჩემს ახალ დედოფალს, რომ თამარი
დაუბრქვი!.. შესედე, რა მშვენიერია, ისე მიუვარს...

დედამ გაისედა კუთხისაკენ, სადაც მრავალი სათამაშოები
— დედოფლები, ცხენები, ეტლები, ჯარისკაცები და სს. —
ვლავა. ვეკლბსე უფრო საპატო ალაგს, კოპწია სავარძელ-
ში, იჯდა გაწყვიპული, დიდრონ ლურჯ თვალებისანი, გაცინე-
ბული ახალი დედოფალა თამრო. დედამ გაიცინა.

— აა, სოფიო აღარ არის ახლა პატრიკემაში?..

— არა, არა, როგორ შეიძლება. სოფიო ესლა თამარის
მოახლება, — მიუგო ბაბომ.

დედამ გადინარსარა და კიდევ უფრო ძაგრა ჩაიკრა თავისი
კოკონა გულში. ბაბომაც აღტაცებით ჩაჭკოცნა და სთხოვა:



— დედილო, შეიძლება ანიკოს დავუძახო ეზოდან, შამ-
წეინდა სულ მარტო თამაში?

დედას შიში გამოეხატა სასესე.

— არა, არა, შენი ჭირიძე, ანიკოს ჰაწია ძმას წითელა
სჭირს... აი, გადია გეთამაშება, შენი საევარული გადია, —
მიუგო დედამ და შესედა ამ დროს ოთახში შემოსულ ჯერ
კიდევ ახალგაზრდა ქალს, რომელიც გადიმებული, სიევარუ-
ლით შეჭყურებდა ბაბოს. დედამ წეენა შეატეო ბავშვს, და რომ
ესინამოვნებინა, დაუმატა, — საღამოსე ზღაპარს გიამბობ.

— ზღაპარს!.. აჰ! გაიგონე, გადია, დედა ზღაპარს მიაძ-
ბობს; რა მიხარინა, რა კარგი იქნება!.. შეჭყვირა მან ტამის
კვრით და ტრიბლით. დედამ ერთსულ კიდევ აკოცა თავის ჰა-
წიას და წავიდა. გადია გაჭევა მას. ბაბო დაუბრუნდა სათამაშო-
ებს. ცოტა ხანს შემდეგ გადია ისევ დაბრუნდა, მაგრამ თან
ჰაწია, სწორედ ბაბოს ოდენა, გოგონა შემოჭევა. ბაბო სწრა-
ფად წამოსტა და ჯახარებული გაქანდა იმათკენ.

— გადია, ვინ არის ეს, საიდან მოიყვანე, ჩემო გადია?..
ჩემთან ითამაშებს?.. — ბაბო მივიდა, მოჭკიდა ჰაწიას ხელი და
გასწია სათამაშოებისაკენ.

— შენთან მოვიყვანე, გენაცვალოს გადია, გეთამაშება, —
მიუგო გადიამ და გადაუსვა სიევარულით ჰაწია ფუნთუსა,
შინსაგან დაბრუნულ წითელ ლოყებიან, თმა გახეჩილ გოგო-
ნას თავსე ხელი. ბავშვს ტანსე გრძელი, კოჭებამდის ჰირის-
ფერი ჩითის კაბა ეცვა, და ცისფერი დიდრონი თვალებით აქეთ
იქით გაუბედავად იცქირებოდა. გადიამ დაუმატა:

— ჩემთან მოვიდა სტუპრად, ჩემი შვილია...

— შენი შვილი!.. წარმოსთქვა მან განცვიფრებით: განა
შენ შვილი გეავს... ერთად ვითამაშებთ... სულ ჩვენთან იქნება,
რა კარგი ხარ, რომ მოიყვანე, თორემ სულ მარტო თამაში
რად მინდა... — ბაბო მოეხვია გადიას და საჭკოცნა... ჰასუსს



აღარ დაუცადა, მოჰკიდა ხელი და გასწია ბავშვი სათამაშო-ბისაკენ.

— იცი, მე ბაბო მქვია, შენ რა გქვია? — ჰკითხა მან.

— ფეფიკო! — მიუგო ზაწიამ.

— მოდი, ფეფიკო, ვითამაშოთ.. მოდი. გაგაცნო ჩემი დედოფლები. აი ეს თამარი, დღეს მანუქა მამილომ; ლაზარაკი იცის... აი, გამოსწიე, — ბაბომ აჩვენა მას დიდი დედოფლა და გამოსწია ზაწია ლამაზი ფონიანი გრესილი, რომელიც დედოფლას მორთულობასავით ჰქონდა გადმოკიდებული თავზე; დედოფლმა დაიძახა: „დედა“; გაუშვა ხელი, და დაიძახა „მამა“. ზაწია ფეფიკო ზირდადებული შესცქეროდა. — აი, ეს სოფია, ეს თინა... ეს სოფიოს კრელი იყო, მაგრამ ახლა სოფიო თამარის მოახლეა, და კრელი აღარა ბქვს... მე კიდევ დედა მშვენიერ ზღაპარს მიაძობს საღამოს... შენ ვინ გაიძობს ხოლმე ზღაპრებს?.. ნახაღილევს გადია სასეირნოდ წამიუვანს... შენც ჩვენთან წამოდი... — განაგრძობდა ბაბო და აჩვენებდა სხვა და სხვა სათამაშოებს, მაგრამ ფეფიკო ურადლებასაც არ ბქვებდა იმის ლაპარაკს: ის განცვიფრებული მისჩერებოდა მშვენიერ დედოფლას, რომელსაც სიკვარულით იკრავდა გულში და ხელს უსვამდა ოქროს ფერ რბილ თმაზე. შემდეგ მან გამოსწია გრესილის ფონი და, როცა დედოფლამ დაიძახა „დედა“ და შემდეგ „მამა“, გადინახარა და დაუწყო კოცნა; მერმე კიდევ გამოსწია გრესილს და კიდევ გადინახარა. გადია კარგა ხანს შესცქეროდა შვილს სევდიანი თვალებით, შემდეგ მივიდა მასთან, დაინახა, ჩაიკრა გულში და დაუწყო კოცნა; თანაც ხელი სმით ეუბნებოდა:

— ჩემო გოგონავ, ჩემო საუკარელო შვილიკო. მე შენ კაბას გიუიდი, კანფეტებს...

ბაბო გაკვირვებით შესცქეროდა: მას ცოცხალი ეწეინა კიდევაც, რომ გადიან სხვაც უუარდა; მიუახლოვდა და მოესვია მას.

— გადია, მე?.. მეც მაკოცე... — უთხრა მან.

— შენც, შენც, შენი ჭირბე, — გადია მოეხვია ბაბოსაც და აკოცა.

— გადია, ფეფიკო ამას იქით სულ ჩვენთან იქნება?

— არა, გენაცვალე, ფეფიკო ახლა ჩქარა შინ წავა, სოფელში, ბებია წაიუვანს, იქ უცდის, სმსხარეულოში... აბა ითამაშეთ, გენაცვალე — გადია წავიდა, ბავშვები მარტონი და რწნენ. ბაბომ მოაწყო სათამაშოები, არბენინა მატარებელი, დაამწკრივა ჯარის კაცები და მიუბრუნდა ფეფიკოს, რომელსაც ისევ ჩასუტებული ჭეჯა და დედოფალა და ნაწი ალერსით შესცქეროდა.

— აბა, დასვი დედოფალა და სკამებსე შკვსნდეთ, ეტლობანა ვითამაშოთ, — უთხრა მან.

— არა, არა, მე დედოფალა მინდა, — მიუგო ფეფიკომ.

— ეს ხომ ჩემი დედოფალაა, — უთხრა წვენი ბაბომ.

ერთ წამს ფეფიკო შეშინებული თკალებით დააშტერდა ბაბოს, მერმე გაიხედა-გამოიხედა ოთახში, უფრო მაგრად ჩაიკრა დედოფალა გულში და გასწია კარებისაკენ გასასულივლად.

— არა, მოიცა, სად მიდისარ?.. დედოფალა ჩემია, მომეცი ჩქარა, — შესძახა ბაბომ, გამოეკვიდა, დაეწია ფეფიკოს, სტაცა ხელი დედოფალას ფეხებში და მოუთმენლად გამოსწია, თანაც ატრებულმა დაივირობა, — გადიაა, გადია!..

ფეფიკომაც შედგრა და გასწია ტივინი, გამოჰკლიჯა ხელიდან და ჰქრა ხელი ბაბოს. ბაბო წაიქცა, მაგრამ მაშინვე წამოსტა და წივილ-კივილით ისევ ეცა ფეფიკოს დედოფალას წასართმევად; ფეფიკოც უძალიანდებოდა, და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ორივენი ეწეოდნენ დედოფალას და ღრი-ალებდნენ.

— ბებია... ბებია... — იმხდა ფეფიკო.

— გადია!.. მცემა... მცემა... წაიუვანე ეს საძაგელი კოგო!.. გადია!.. — ტიროდა ბაბო და ახჯდრეკდა ფეფიკოს...



კაფითრებული, კულ განუთქილი კაღია შეძოვარდა...



სმი, თან მოხუ-
ცი დედა, ფეფი-
კოს ბებია, მოს-
დევდა.

— ბებიავ, წამიუვანე ბაბუსთან, აქარ მინდა, მე ბაბუს-
თან მინდა,— შესტირა ფეფიკომ.

— რა ცუდი გოგოა შენი ფეფიკო!.. კამოართვი ჩქარა
ჩემი თამარი... წამართვა... მცემა... მე დედას ვეჭვი... ნა-
ხავს...— უვიროდა გაცხარებული ბაბო.

— უი, დამიდგა თვალები, ფეფიკო, სცემა?.. მიეცი დე-
დოფაღა, ჩქარა, შეილო!..

— არა, არა, დედოფაღა მე მინდა... მინ უნდა წავილო,
ბაბუს ვაჩვენო,— სთქვა ფეფიკომ და შეშინებული დაიძალა
ბებიის კალთაში.

ამ დროს გაიხმა ხარის წკარუნი, და მოსამხასურე ბიჭი
სირბილით გაქანდა ქვევით კარების გასაღებად.

— ვაიმე, მაეცი ჩქარა, ქალბატონი მოკიდა! — შეუტია
კაღიამ ფეფიკოს და სწვდა მკლავებში დედოფაღას კამოხარ-
თმევად, მაგრამ ფეფიკოს მაგრად ეჭირა და უძალიანდებოდა.

შეშინებული, რომ ახლავე ქალბატონი შემოვაო, გაჯავრებული გადია სწავდა თმაში ფეფიკოს ვეირილით:

— მიეცი ახლავე, თორემ ვაგათავე ეს არის, შე სამაკელი!..

ფეფიკომ შესედა დედან აკანკალებულმა, იმ წამსვე გაბადო სელიდან დედოფალა, რომელიც ბრაგვანით დაეცა, და ცხვირ-ზირი დაუღეწა...

— ვაიძვე, ჩემი თამარი გამიტყესა, ვაიძვე, რაღა ვქნა ახლა, გამიტყეს ჩემი საუკეთესო!.. — ღრიალებდა ბაბო.

გააფრებული გადია მივარდა ფეფიკოს, ერთ ვეირილით სცემდა და თან შეწუსებული იძახდა:

— ეს სამაკელი, ეს... ღმერთო ჩემო, რა ჰქნა?! ეს დედოფალა... ჩემი ორი თვის ჯანჯანობის ვერ აუვა. — იძახდა ის და სცემდა, სადაც-კი მოხვდებოდა. ფეფიკო კვირდა და ეკვიროდა ბებიას. ბებია ეფარებოდა მას და ართმევდა სელიდან გაკანკასებულ დედანს, თანაც ნელის შეწუსებულის სმით ეუბნებოდა შვილს:

— კარგი, კარგი, ქალო, სომ არ მოკლავ ბავშვს.. რა ღმერთი გამიწერა, რომ ჩემოვიყვანე...

— მინ წამიყვანე, ბებია... წამიყვანე, არ მინდა ქალაქში დედანთან... არ მინდა დედა...

— კი, კი, შვილო... რად გატყვე, სომ გითხარი, ჭკვიანად იყავი მუთქი... — ეუბნებოდა მოხუცი, უკბილო ბებია გულმტკივნეულად...

ბოლოს, როგორც იყო, ბებია გამოჰკვლიდა სელიდან ბავშვი გადიას და საჩქაროდ გაიყვანა. გავიდნენ თუ არა, გადია ერთი შედეგად, ცოტა ხანს მიაჩერდა კარებს გარინდებული, შემდეგ დაემხო იატაკზე და გულამოსკვნით ატირდა.

— ვაიძვე შვილო, რა ვქენი!.. რამდენი ხანია არ მინახვიხარ... — ქვითინებდა სლოკინით.

ბაბომ შესწევია ტირილი და განცვიფრებულმა დაუწყო გადიას ცქერა, შემდეგ მიუახლოვდა მას.



— გადია, შენც ტირი ჩემი თამარისთვის?.. შესედე, როგორ გამოტყუა... სომ ჩემი იყო დედოფალა, და მიტყუნდა... მე... მე... ცუდად მოვიქეცი...

— არა, კახაცვალე... შენ კარგი ხარ... შენი იყო, რასაკვირველია...— ეუბნებოდა დაბნეულად სლოკინით გადია.

დედა და ვიღაც სტუმარი, როგორც ლაპარაკზე ერთობოდათ, ამოვიდნენ კიბეზე და სასტუმრო ოთახისაკენ გასწიეს. ბაბო იდგა ერთხანს დაუიქრებელი და შესცქეროდა გადიას, შემდეგ დაიხარა და ხელა აკოცა.

— გადია, — უთხრა ბავშვმა, — გადია, ნუ იტირებ... ის ცუდი გოგო სომ წავა... დედას მე ვეტივი ვევლაფერს, არ გამოიჯავრდება... მე სომ სოფიო მეყვან...

— კი, შენი ჭირიძე... შენ ვევლაფერი გეყვან და გაქვს... ვევლას უეყვარხარ... მე იმას ვტირი, რომ ჩემი ერთად ერთი ზაწაწკინა გოგონა ამდენი ხანია არ შეხასა და...

გადიამ აღარ დაამთავრა, მაგრამ ბაბო უცებ ვევლაფერს მისვდა. გადია ტიროდა იმისთვის-კი არა, რომ ფეფიკომ ბაბოს აწეწინა და დედოფალა გაუტყუა; გადია იმისათვის ტიროდა, რომ ფეფიკოს სცემა. ბაბოსათვის ცხადი იყო, რომ გადიას ფეფიკო უეყარს და ძალიანაც უეყარს. ერთ წამს ბაბოს შურით აევისო გული, ეწეინა, წამოდგა და გაწითლებული დააცქერდა გადიას. „ნეტავი ჩემზე მეტად უეყარს, თუ არა“, გაიფიქრა მან და საჩქაროდ ფიქრშივე დაუმატა, — „უეყარს, უეყარს!“ გულის ტკივილით მოტრიალდა. ჩქარი ნაბიჯით მივიდა ფანჯარასთან და დაიწყო ეზოში უახროდ ცქერა. გადიამ ადგა და ხელა გავიდა ოთახიდან.

ბაბო იდგა ფანჯარასთან დაუიქრებელი; იმის ზაწა თავში ათასნაირი ხსრი ტრიალებდა: „მაშ მე არ ვუეყარვარ... რისთვის ცხოვრობს ჩემთან? ფეფიკო იმისი შვილია, ის უეყარს და ჩემთან-კი ცხოვრობს? დედას ვკითხავ“. — ამ დროს დაინახა ჭისკრისაკენ მიმავალი ფეფიკო, მოსუცი ბუბია და

თითონ გადიან. ფეფიკო ჩასჭიდებოდა ცალი ხელით ბებიას კალთაში, მკორეთი-კი იწმენდდა ტირილისაგან დაწითლებულ დაოსებულ თვალებს, ტუჩები ებრიცებოდა, ჰაწია მხრები უთრთოდნენ. სველი-ანი გადია რაღასაც ემუდარებოდა და რაღასაც ქალაქში გასვეულს აწვდიდა, მაგრამ ფეფიკო არც-კი იუურებოდა დედისაკენ. ისინი მივიდნენ ჭინკართან. ბებია და გადია გამოეთხოვნენ ერთმანეთს; გადია დაინხარა, რომ ეკოცნა შვილისთვის, მაგრამ ბავშვმა დამალა სახე ბებიას კალთაში; გადიამ მაინც დაუწყო სვევება და კოცნა გაწეწილ თავზე, კისერში, შურგზე, ხელებზე; თვალცრემლიანი ებლაუჭებოდა და ჰკოცნიდა რაღაც სასოწარკვეთილებით, უნებარი-მოდ, ისუტებდა თითქოს არ უნდოდა არასოდეს იმის გულიდან მოძორება... „საწეალი, საწეალი ჩემი გადია, როგორ უეუარს და სცემა... მე ვაცემინე... დავუძახებ...“ — გაიფიქრა ბაბომ. მაგრამ მოხუცმა ბებიამ, როგორც იყო ბოლოს, გამოჰკლავა ბავშვი დედას ხელიდან, და გავიდნენ ქუჩაში. დაღონებული გადია დიდხანს გასცქეროდა იმით, შემდეგ მოტრიალდა, მოიწმინდა ცრემლები, გაიწორა მოსასვევი და თავხადუნული წამოვიდა სახლისაკენ. ბაბო ცოტა ხანს კიდევ იდგა ფანჯარასთან, შემდეგ მოტრიალდა, აიღო იატაკიდან გატეხილი დედოფალა და სათამაშოების ჩასალაგებელ ხანდუკში სულ ძირში შეინახა.

სადილისათვის გადიამ ჩააცვა ბაბოს მშვენიერი, არშიუბიანი ცისფერი კაბა, მაგრამ გადია ისეთი მხიარული არ იყო როგორც ეოველთვის: თვალებზე თითქოს ცრემლები ადგებოდა, და სძირად ოხრაუდა. „სულ ჩემი ბრალია, მე ვაცემინე,“ ფიქრობდა ბაბო და რცხვენოდა.

სადილად სტუმრები ჰუბვდით და ეველანი ეაღერებოდნენ და აქებდნენ ბაბოს. ჩასადილევის, როცა ბაბომ აკოცა მად-



ლობით დედ-მამას, და კადია შემოვიდა იმის წასაუკუნად და უეუგო მამას მოაკონდა და ხმა მძლავრ სიცილით მიძარბა სტუმრებს:

— ოო, თქვენ არ იცით, რა სასუქარი მიიღო დღეს ბაბომ! აბა ბაბო, მოიტანე, აჩვენე დეიდა ნინოს.

— იცი, გიორგი, — უთხრა მას სიცილით დედა: თამარი დაბრქვა და სოფიო მოახლეუდ გაუსხადა.

— ხა, ხა, ხა — განიხარხარა ბოხის ხმით მამამ — მოიყვანე, მოიყვანე შენი თამარი, გაკვაცანი ჩვენც.

კადია გაფითრდა და თავხალუნული ბქეთ-იქით იცქირებოდა. ბაბომ შესედა მას, შემდეგ ნელი ნაბიჯით გაბედულად მივიდა მამასთან და ნელა უთხრა:

— მამილო, მხატვი, დედოუალა კამიტუდა...

— როგორ, ასე ჩქარა გატყევე, შე ქალო? — სთქვა მამამ სიცილით.

— ჰა, როდის გატყევე, როგორ? — დაეკითხა დედა და მრისხანედ შესედა კადიას.

— ხელიდან გამივარდა, დედილო, და გატყდა, — მიუგო ბაბომ, მოეხვია კისერზე და დაუძატა: — არაფერია, დედილო, შე ხომ სოფიო შეავს: ნუ გავჯავრდები, შენი ჭირიძე. დედასაც გაეცინა.

საღამოზე, როცა ჰაწია ბაბო თავის ჰაწია რბილ ლოკინში ჩაწვა, მოვიდა დედა და მძვენიერი ზღაპარი უამბო; ბევრი ეალერსა, ჭკოცნა და შემდეგ ადგა წასასვლელად. გახარებული ბაბო თითონაც აღტაცებით ჭკოცნიდა დედას და არ უნდოდა გაეშვა.

— დედილო, დედა, შენი ჭირიძე, მითხარი — ძალიან გიყვარვარ? — დაეკითხა დედას ხელების ტორტმანით.

— შენ?.. ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩემი სული, და მამ არ შეეყვარები, ჩემო გოგონავ, — მიუგო დედა.

— ძალიან, ძალიან, არასოდეს არ დამტოვებ?..

— დაგტოვებ?.. ჩემ სიხარულს, ჩემ საყვარელ შვილიკოს?

ბაბოს სიხარულით ავესოგული და უნდოდა კეთხა: „მამ კადიმ რისთვის დასტოვა თავის შვილი“, მაგრამ მოაკონდა, როგორ უთრთოდა მოხრილი მხრები ჰაწია ფუფიკოს, თითქოს რაღაც ინსტიქტიურად შეეშინდა კითხვის მოსალოდნელ ჰასუსასა და უცებ სხვა საგანზე გადავიდა.

— დედილო, მითხარ, კარგ სიხმარს ვნახავ?..

— ოო, სომ იცი, როცა მთელი დღე კარგი გოგონა ხარ, კარგ სიხმარსაც ნახავ!.. აბა, გაძიძვი, შე ეშმაკო, მშვიდობით!—დედამ ერთი კიდევ აკოცა, ჰირჯვარი გადასწერა თავის ჰაწიას და გავიდა. მაგრამ ბაბო-კი ისე მხიარული აღარ იყო, როგორც ამ რამოდენიმე წამის წინ. „მთელი დღე კარგი გოგონა... განა დღეს „კარგი გოგონა“ იყო? და თუშცა გადია სიუვარულით ანუკეშებდა და ეუბნებოდა,—შენ დღეს მართლად კარგი ბავშვი იყავი, რომ იმდენ ხალხში არ შეპარცხვინე და ჩემი ამბავი არა სთქვიო. მაგრამ ბაბოს ძანც მოუსვენრად ეძინა.

ნინო ნაკაშიძე.





ი ა ს ა მ ა ნ ი

(თარგმანი)



ილიაჲ მახინჯი იყო. საშინელი სასეჲ ჭქონდა, დაბრეცილი თვალები, ერთი ფეხი უფრო მოკლე მეორესეჲდ. მათხოვრობდა. ფილიაჲ ცხოვრობდა ქალაქ გარეჲდ, ერთ მოსუც ებრაელ ქალთან ბნელს საკუჭნაოში. დღესასწაულებში გლეხებს სოფლიდან ჩამოჭქონდათ გასასუიდად სანოკაგე. ფილიაჲ კარმეჲო უვლიდა ურმებს და

მოწუდლებასა თხოულობდა.

ერთმა დედაკაცმა დილა აღრიანად ბატონის ბაღში ბლომად მოამტვრია აუვაკებული იასამანის ტოტები და ქალაქში გასასუიდად ჩამოიტანა.

ფილიაჲმ შორიდან შენიშნა იასამანი და მიუახლოვდა ურემს.

ურემსეჲდ ბატონა გოგო იჯდა. დაინახა მიძვეალი გლახა და დაიფიქრა, — ფილიაჲ მოვიდაო! ამ წამსვე ბავშვები შემოესვივნენ მთხოვარს: დაუწვეს დაცინება, აჯავრებდნენ კოჭლობას და ჯოხით სიარულს, იბრანჭებოდნენ და იგრისე-

ბოდუნ მთხოვარი ბავშვის წინ. ვეელაზედ შეტად დასცნობდა და იბრანჭებოდა ლისა.

— ფილიპე, ფილიპე, იცი რა გითხრა—ჭაობში ბავშვებიცაი უიენებენ შენზედ. „მხინჯია, მხინჯიაო!“

— ნეტავი ვიცოდე, შენ რაღასა ჰკეკხარ? უმასუსა ფილიპემ და თან თვალები დაუჭეიტა.

— აი, თქვე საძაგლებო!.. დაუტანა ლისას დედამ ბავშვებს. ბრუციანო, შენ რაღას დაეხეტები აქა!—მიუბრუნდა ფილიპეს. ვინ იცის, იქნება ურმიდან რაჟე ამწანე?

— არა, მე ხელიც არ მიხლია შენი ურმისათვის. — მხოლოდ მინდოდა, მოწულება მოკელო: აი, ის ვეავილები მოკეცა ჩემთვის.

ფილიპემ იასამანი სთხოვა.

ულიანას გაუკვირდა.

— შე, მხინჯო, ვეავილი რისთვის გინდა?

— რისთვისაც სხვებს უნდათ.

— აჰა, რაკი გინდა, მე არა მშურს!

ულიანამ გამოაძრო ერთი ტოტი იასამანი და მისცა ფილიპეს. მხინჯმა სინარულით გამოართვა.

ჰკოცნიდა სუნავდა, სახეზედ ისვამდა, იმის ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა.

— მიუვარს, ძალიან მიუვარს ვეავილები.

თან ბავშვებს უცქერის, ენას აწკანუნებს და ჩუმიდ იცინის. ლისას უკვირდა:—მხინჯი, დაბრეცილი, კოჭლი მთხოვარი ამ ზომამდინ როგორ გაახარა ვეავილმაო? უცბად თვალებზედ ხელი მიიფარა და მწარე ტირილი მორთო.

დედა განცვიფრდა, ხელი მოჭხვია და ჰკითხა:



— რა გაღრიალებს, შე სულელი?

ლიზამ მხოლოდ ეს უთხრა: „დაძნანდა, დედანკემო“ და ურემს მოეფარა.

ულიანას ეკონა, ლიზას ვვაგილი დაეხანაო და მიამახა: „აი, შე ხარბო“.

ბავშვები-კი მიხვდნენ, რომ ლიზას ვვაგილი-კი არ დანანებია, ფილიზე შეებრალა.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც კიდევ ჩამოვიდნენ ქალაქის სანოვაგით, ლიზა დედას დაეთხოვა სასყიროდ და ბავშვებთან ერთად ურემზე შუბ დაიწყო სირბილი. ბავშვები ფილიზეს ეძებდნენ. ის-კი საუდარს უკან კედელთან იჯდა და გროძებსა სთვლიდა, რომელიც დღეს შეეგროვებინა. ფილიზემ ბავშვები დანახა თუ არა, სანქაროდ წამოხტა და უნდოდა როგორმე თავი დაესწია, ეკონა ბავშვები იმისთვის მოვიდნენ, რომ ჩვეულებრივ დამცინონ და მასხარად ამიგდონო.

მაგრამ ლუბამ დაუევირა:


— ფილიზე, მომიცადე! შე შენ რაღაც მოგიტანე, — აბა, ნახე! — და ფეშტამალი გადაუშალა.

ფეშტამალი ვვაგილებით სავსე იყო: გვირილა, ეახნო, სოსანი, და კიდევ ბევრი სხვა ვვაგილები.

ფილიზემ ბავშვებს შესედა და ჩუმად სთქვა: ბავშვებმა შე-მიბრალეს! ისევ მიწაზედ დაჯდა და ტირილი დაიწყო; ტირილოდა, რადგან დიდი, დიდი ხანია, რაც უბედური არავის შეკბრალებია.

მ. დემურიანი





გულწრფელი საჩუქარი

ვ. ფაფაზიანისა

(სომხურით)



რთს ქალაქში ცხოვრობდა ფრიად მდიდარი ვაჭარი, რომელსაც ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი საშუალებები უღვევლი ჰქონდა. მაგრამ საწყაღს და გაჭირებულს არას, შეელოდა. ჰირიქით თითონვე ძარცვაკდა, ჰველფუდა ვეულას და ბეკრს ოჯახს აუბედურებდა და უსახსროდ სტოვებდა.

ერთ დღეს, როდესაც ეს მდიდარი ქუჩაში გამოვიდა, შესვდა მას თვაბღურად მორთული ეშმაკი. მდიდარმა ეშმაკი ვერ იცნო, თავი დაუკრა და ზრდილობიანად დაეკითხა, — ვინ ბრძანდებიო?

ეშმაკმა ზისღით შესვდა მდიდარს და უპასუხა:

— რა შენი საქმეა? ან რა მოვალე ვარ გიპასუხო?!

— მე მსურს... ამ ქალაქში მე შემღებულ ვაჭარად ვარ ცნობილი და შემდიდარი, ერთი ნაბიჯის გადადგმაც-კი აღვიკრძალოვო.

— კარგი! თუ ასეა, მამ იცოდე, რომ მე ეშმაკი ვარ.

— ჰმ, — წაბურტყუნა შიშით ვაჭარმა, — მართლა? რისთვის მოსულხარ ჩვენს ქალაქში?

— დღეს, — სთქვა ეშმაკმა, — თქვენ ქალაქში ბაზრობის დღეა; მოვედი მისთვის, რომ მივიღო საჩუქრები, რასაც წრფელი გულით მითავაზებენ.

— ძრიელ კარგი, — უპასუხა ვაჭარმა, — ამას არ აღვიკრძალავ, მხოლოდ ნება მომეცი გავიამხანაგდე და ვნახო, ვინ როგორ გულწრფელს საჩუქრებს შემოგთავაზებს.

— თანახმა ვარ, წავიდეთ.

და ორთავემ გასწიეს ბასრისკენ. შეუსვიეს სამიკიტნოში. ვაჭარმა ჩამოასმევეინა ორი ჭიქა ღვინო და ერთი ეშმაკს გაუწოდა:

— აიღე, — უთხრა ვაჭარმა, — ეს არის ჩემ მიერ გულწრფელად მორთმეული საჩუქარიო.

ეშმაკმა ჭიქა არ ჩამოართვა. იფიქრა: ეს გაბერილი ან მასხარად მიგდებს და ან ეს საჩუქარი შიშით არის გამოწვევული, და არა გულწრფელობითაო.

ამ დროს იმათ ახლო ჩამოირბინა ერთმა გლეხმა, რომელიც დამფრთხალ ძროხას მისდევდა დასაჭერად. საბრლო გლეხი ძრიელ დაღლილიყო; ილაჯკაწვევტილმა და მუტის მუტად დაქანცულმა მიამახა ძროხას:

— აი ეშმაკმა-კი წავიდოს, შე წვეულო ჰირუტეო!

— გაიგონე? — ჰკითხა ვაჭარმა, — წაიყვანე ეს ძროხა, შენ გაჩუქესო!

— არა! — უპასუხა ეშმაკმა, — საჩუქარი გულწრფელობით არ არის. ეს ძროხა რომ შე წავიყვანო, გლეხი დიდს გაჭირვებაში ჩაყარდება.

ცოტა ხანს შემდეგ შესვლათ ერთი დედაკაცი, რომელიც ბავშვს მისძახოდა:

— არ გეო რაც იცელქე, შე ეშმაკის კერო?

— წაიყვანე — უთხრა ვაჭარმა ეშმაკს — ბავშვი შენ გაჩუქეს!

— არა! — უპასუხა ეშმაკმა, — არც ეს არის გულწრფელი საჩუქარიო და გასწიეს წინ.

მდიდარი ვაჭარი და ეშმაკი გაერივნენ ხალხში; დაინახეს, რომ ორ ამხანაგ ხელოვნანს ჩხუბი მოსდიოდათ საქმესედ. ერთმა, რომელიც ძრიელ გზავრებული და გაშმაკებული იყო, დაიძახა:

— დაიკარგე ჩემგან, შე ეშმაკის კეროვო!

— წამოიყვანე, — უთხრა ვაჭარმა ეშმაკს, — ეს შენი საჩუქარი არისო!

— არც ეს არის გულწრფელი საჩუქარიო, სთქვა ეშმაკმა, — ამ წუთში ის სიბრახისაგან დაბრმავებულია; მისი ამხანაგი მე რომ წავეყვანო, როცა დამშვიდდება, ჰირველად იგოვე შეიბრალებს და იდარდება...

ამხარიად ვაჭარმა და ეშმაკმა შემოიარეს მთელი ბაზარი, მაგრამ გულ-წრფელი საჩუქარი ვერსად ვერ იპოვნეს. უცებ ერთი მონძებში ჩაცმული ბებური დედაკაცი გადაეღობათ წინ, შეახერხა მდიდარი ვაჭარი და გაუითრებელი სახით და ხმის კანკალით დაიძახა:

— წვეულიძე იუაუ ჩვენი ოფლით და ჩვენი სისსლით გამდიდრებულა მოუახშევ... როდემდას გაგვიღოთ შენ? შენ მოიტაცე ჩემი ოჯახის უკანასკნელი მარჩენელი ძროხა, არ შეიბრალებ მთელი ოჯახი, დიდი და პატარა მძიერი დაგეტოვო: ეშმაკმა წაგიღოს შენ!... მდიდარი ვაჭარი მხად იყო შეეცია დედაბურისთვის, მაგრამ ეშმაკი სწვდა კისერში და სთქვა:

— აჰა! ძლივს! ერთი გულწრფელი საჩუქარი მაინც ვიპოვნე, ამას მამდევე გულით, ღრმა სურვილით და მეც საამოვნებით მივიღებ ამისთანა საჩუქარსაო...

სთქვა, მოიტაცა ვაჭარი და გაქრა.

უ. კ—სა.





ხარბი მეფე

(ზღაპარი)



ეო და არა იყო რა, იყო ერთი ხარბი მეფე. მის სამეფოში ცხოვრებდა ერთი ღარიბი და ძლიერ საწყალი მუშა; დღეში ექვს შაურად მუშაობდა, არც ნაკლებს აიღებდა, არც მეტს. მაგრამ ხშირად არც ამ ქირას აძლევდნენ: გაურიგდებოდნენ ექვს შაურად, დილიდან საღამომდე ამუშავებდნენ, და უგრო-მოდ გაისტუმრებდნენ, — შეძლეო მოგცემთო.

აი, ამ მუშას შეჭხვდა ერთხელ ხარბი მეფე და უთხრა:

— რა მოგცე, ჩემთან იმუშავო?

— ექვსი შაური, მეფე, მხოლოდ იმ ზირობით, რომ ფული წინადვე მაძლიო.

— კარგი, — მიუგო ხარბმა მეფემ, — მაგრამ აი რა უნდა გითხრა: შენ დილიდან საღამომდე ჩემი ბედი უნდა ემიო, როცა ნახო, გამოჰკითხე ეველაფერი და მიამბე.

— ძლიერ კარგი, დიდებულო მეფე, მხოლოდ ფული ეოველ დილით უნდა მივიღო.

მეფე დასთანხმდა, მისცა წინ-და-წინ რამოდენიმე დღის ქირა და გაისტუმრა.

ახსენა ღმერთი მუშამ და გასწია მეფის ბედის საქებელად.

ერთხელ შინს ჩასვლის დროს დახასვენებლად მუხის ძირას მივიდა; უცბად გასკდა მიწა, და მიწის ქვეშ, ერთს დიდს სარდაფში გაჩნდა ჩვენი მუშა. ძალიან გაუკვირდა ქვესკნელი და თან ძალიანაც გაუხარდა, რომ ასე უვნებლად გადაჩნდა; მიიხედ-მოიხედა და ნახა, რომ იქაც ცხოვრება იყო: ზოგი მუშაობდა, ზოგი უქმად დაიარებოდა, ზოგი სიმშლით

კვდებოდა და ზოგის განცხრომას და ფუფუნებას სასლვარი არ: ჭქონდა. აგერ ოქრომჭედელი ოქროსა სჭედს, იქ სახლ-გასრდები მანქანასედ მუშაობენ, აქ გლეს-კაცს გუთანი უბია, იქ, შორს მთასე, შწეემსი ცხვარს ამოვებს და თან საღლა-პურს უკრავს; იქ კიდევ ორი გლასაკი ერთმანერთს ჩაჭკვრიან და ს-ღათას მილით განისვენებენ.

მუშამ იფიქრა, უთუოდ ეს უნდა იყოს ბედის სამეოფი, მეფის ბედიც აქ უნდა იყოს.

მივიდა ოქრომჭედელთან და ჭკითხა:—ეს რა ქვეყანა არის?

—აღამიანის ბედი აქა მუშაობს,—მიუგო ოქრომჭედელ-მა.—შენ რა გინდა?

—მე, ბატონო, ჩემმა მეფემ გამოკვსავნა თავის ბედის სახანსავად; დამბარა, თუ სადმე ნახო, უთხარ, ჩემთვის მეტს ნუღარას იხრუნებსო... იქნებ, მახვენოთ ჩემი მეფის ბედი!

ოქრომჭედელმა მიუგო:—შენი მეფის ბედი მე ვარ, წა-დი და მოახსენე: შენი დარიგება ჩემთვის საჭირო არ არის, ჩვენი დრო ჩვენ უკეთ ვიცითო.

მუშამ თავი დაუკრა და წამოსვლა დააბირა, მაგრამ იფიქრა,—მოდე ერთი კვითხო ჩემი ბედი საღლა არისო.

—უკაცრავად ბატონო, იქნება იცოდე ჩემი ბედი საღლა არის? მახვენე, ღვთას გულისათვის, მეორედ მოსვლა იქნება ვეღარც-კი მომიხდეს.

—აი შენი ბედი, ერთად რომ სძინავთ.

მუშამ თავში სელი შემოიკრა: ამიტომა ვარ ასე საწულად, რომ ჩემს ბედს ასე სძინავსო! მივიდა გულმოსული, ერთს ერთი წიხლი უთავაზა, მეორეს მეორე:

—ადექით, თქვე მერალებო, რა დროს მილია, ვერა ჭხე-დავთ, როგორ საწულად დავიარები!?

—წადი, დაიკარკე! საიდანაც მოთრეულხარ, იქით წაე-თერ, ჩვენი დრო ჩვენვე ვიცით! ვერ მილი არ შეკვსრულდება. თავის ფხანით სთქვენს ორთავემ და ისევ სვრინვა ამოუშვენს.

— ეჭ, ჩემი ბედი ასეთი უოფილა!—სთქვა მუშამ და გამორდა. გამოსამშვიდებლად ისევ ოქრო-მჭედელთან მივიდა: იფიქრა საწუბლი კაცი ვარ, თავს შევებრალე, იქნებ მახუქოს რამეო.

— ერთი ღატაკი კაცი ვარ, ბატონო, ქვეყანასე არაფერი გამაჩნია, იქნება რამე მახუქო შენი სულის სამადლოდ.

ოქრომჭედელს შეებრალა მუშა, ზილო და სამი ქვა აჩუქა. „ესეც კარგია,“—სთქვა მუშამ, იქნება როდისმე გამომადგეს, მაღლობა გადაუსადა და წამოვიდა მეფისკენ.

— ნახე, ბიჭო, ჩემი ბედი?—ჭკითხა მეფემ.

— როგორ არა, ბატონო, ვნახე და ასე შემოგიტოვალა: „შენი დარიცება ჩემთვის საჭირო არ არის, ჩვენი დრო ჩვენ უკეთ ვიცითო.“

— კარგი, მაგრამ შენ არაფერი გაჩუქეს?

— კი ბატონო! მუშამ ამოიღო ერთი ქვა და აჩვენა, ორი-კი დამალა. მეფეს ქვა ძალიან მოეწონა, და გადასწვევიტა, ან მოტეუილებით შევძინა მუშისგან ეს მვირყვანი ქვა, ან ფულით.

— რა მოგცე, ბიჭო, მომეიდე ეს ქვა, რა ეღირება?

— შენ თვითონ იცი, მეფე, რაც ეღირება!

— ათასი მანეთი გეუოფა?

მუშას ეგონა შესუმრებაო და მოასყენა:

— დამცინით, ბატონო!..

— ორი ათასი სომ გეუოფა, — გააწვევტინა მეფემ სიტყვა, რადგან იფიქრა მუშას ქვის ფასი სცოდნიაო.

მუშამ ვაიცინა და სელი გაუწოდა ქვის გამოსართმევად: რას დამცინი, ჩემი ქვა მომეციო.

მეფემ აიღო და ათასი თუმანი ჩაუღაბა სელში: ჭა, ეს ათასი თუმანი სომ გეუოფა, — წაიღე და ქვა მე დამიტოვეო.

მისცა-კი მისცა, მაგრამ დანახდა ამოდენი თანხა და უთხრა: — მომეცი, ეგ ფული, მე შეგინახავ, ჩემს ვეზირებს-კი ვუტევი, უცთომ შენ ჩემი მძა ხარ, დაკარგული იეავ, ახლა მოხვედი და ეს ფულიც შენ მომიტანე, კარგი?

საქართველოს
საბჭოთაო

— კარგი, ბატონო, თქვენი ნება იქონს, — მიუგო მუშამ და ფული ისევე შეფეხს მიართვა.

გავიდა ხანი და მეფე მეორედ შესვდა მუშას.

— აი შე სულელო, — უთხრა მეფემ შენი მოცემული ქვა ერთ მილიონად გავუიდე. შენ-კი მისი ფასი არ იცოდი!

— ნუ-თუ! გაიკვირვა მუშამ, — თუ ასეა, მე კიდევ მაქვს ორი იმასე უძვირფასესი ქვა, ამოიღო უბიდან ორი ბრწყინვალე თვალი და აჩვენა. მეფეს გული წაუვიდა, იფიქრა, ეს ჩემსე უფრო მდიდარი ეოფილაო, და იქვე მოკვდა.

ხარბი მეფის სიკვდილი რომ გაიკვს, მის ტახტზე მუშა დასვეს, რადგან მეფეს წინაღვე ჰქონდა ნათქვამი ვეზირებისთვის, რომ ეს და ეს მუშა, ჩემი დაკარგული მძა არისო. ვერ. ხაყ.

ა ბ რ ც ა ნ ე ბ ი

--	--	--	--	--	--

დასტოეთ ამ შვიდ უჯრაში შემდეგი სიტყვები: „ტარიელ-ცარიელი“ ისე, რომ თითო უჯრას თითო ასო შესვდეს. ვ. ნ.

ჭურჭელი მთელია, მაგრამ შიგ ვერაფერს ვერ ჩაასხამთ. რა ჭურჭელი ეოფილა?

ერთმა ვაჭარმა ერთი ფუთიანი ქვა შემოიღო. ეს ქვა იმლებოდა ოთხ ნაწილად ისე, რომ ვაჭარს შეეძლო აეწონა 1, 2, 3, 4, 5, 6 და, ერთი სიტყვით, რამდენიც-კი უნდოდა 40 გირვანქამდის. გამოიცანით, რამდენ გირვანქას უდრიდა თითო ნაწილი ქვისა?

რ ე ბ უ ს ი



რო